ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) *2015 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება (მეორე პალატა); C-347/14 - New Media Online GmbH v Bundeskommunikationssenat and Der Bundeskanzler; ECLI:EU:C:2015:709.*

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების დირექტივის 2010/13/EU 1-ელი მუხლის (1)(b) ქვეპუნქტის ინტერპრეტაციის საკითხს, კონკრეტულად კი **„პროგრამის“ ცნების შინაარსობრივ ფარგლებს.** დირექტივის თანახმად, „პროგრამის“ ცნება გულისხმობს მოძრავი გამოსახულებების ერთობლიობას, ხმით ან ხმის გარეშე, რომელიც წარმოადგენს ცალკეულ ელემენტს და წარმოდგენილია მედიამომსახურების მიმწოდებლის მიერ დადგენილ განრიგში ან კატალოგში. სასამართლომ განიხილა, ექვემდებარება თუ არა **ონლაინ გაზეთის პლატფორმაზე** განთავსებული მოკლემეტრაჟიანი ვიდეომასალა, რომელიც მოიცავს ახალ ამბებს, სპორტულ და გასართობ სიუჟეტებს, აღნიშნული დირექტივით დადგენილ სამართლებრივ ჩარჩოს. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ **დირექტივაში არ არის განსაზღვრული ვიდეომასალის ხანგრძლივობის ზღვარი,** რაც გულისხმობს, რომ **მოკლემეტრაჟიანი ვიდეოკლიპებიც შესაძლოა მოექცეს „პროგრამის“ სამართლებრივი ცნების ფარგლებში.**

„16 წინასწარი მოსაზრების სახით უნდა აღინიშნოს, რომ განმხილველი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ძირითადი საქმისწარმოების დროს განხილული ვიდეოჩანაწერები წარმოადგენს სხვადასხვა ხანგრძლივობის საინფორმაციო გამოშვებებს და ეხება სხვადასხვა თემას. ეს ვიდეოები ეხებოდა ადგილობრივი მოვლენების შესახებ რეპორტაჟებს, მათ შორის, პოლიტიკის, კულტურის, სპორტისა და ეკონომიკის სფეროებში.“

„17 ამ კონტექსტში, განმხილველი სასამართლო ეჭვობს, შესაძლებელია თუ არა ადგილობრივი ახალი ამბების გამოშვებების, სპორტული და გასართობი კლიპებისგან შემდგარი მოკლემეტრაჟიანი ვიდეოების მიწოდების შედარება „სატელევიზიო მაუწყებლობის“ ცნებასთან, დირექტივის 2010/13 1-ელი მუხლის (1)(b) ქვეპუნქტის მნიშვნელობით, რადგან მოკლემეტრაჟიანი ვიდეოების ასეთი კრებული ტრადიციული სატელევიზიო მაუწყებლობის მიერ ამ სახით აქამდე არ ყოფილა შემოთავაზებული.“

„18 ამასთან დაკავშირებით, უნდა გავიხსენოთ, რომ **დირექტივის 2010/13 1-ელი მუხლის (1)(b) ქვეპუნქტში მოცემული განმარტების თანახმად, „პროგრამის“ ცნება ნიშნავს „მოძრავი გამოსახულებების ერთობლიობას... რომელიც წარმოადგენს ცალკეულ ერთეულს მედიამომსახურების მიმწოდებლის მიერ შედგენილ განრიგში ან კატალოგში და რომლის ფორმისა და შინაარსის შედარება შესაძლებელია სატელევიზიო მაუწყებლობის ფორმასა და შინაარსთან“.“**

[...]

„20 გარდა ამისა, **ის ფაქტი, რომ** ძირითადი საქმისწარმოების დროს განსახილველი **ვიდეოები მოკლემეტრაჟიანია, არ გამორიცხავს მათი როგორც „პროგრამის“ კლასიფიცირების შესაძლებლობას,** დირექტივის 2010/13 1-ელი მუხლის (1)(b) ქვეპუნქტის მნიშვნელობით. **აღნიშნული დებულება არ**

შეიცავს რაიმე მოთხოვნას გამოსახულებათა ერთობლიობის ხანგრძლივობის შესახებ. გარდა ამისა, როგორც ევროკომისიამ განაცხადა, სატელევიზიო მაუწყებლობა, ხანგრძლივ და საშუალო ხანგრძლივობის პროგრამებთან ერთად, მცირე ხანგრძლივობის პროგრამებსაც სთავაზობს.“

„22 გარდა ამისა, როგორც დირექტივის 2010/13 პრეამბულის მე-11, 21-ე და 24-ე პუნქტებიდან ირკვევა, ამ **დირექტივის მიზანია, განსაკუთრებით კონკურენტულ მედიასივრცეში, ერთნაირი წესების გავრცელება იმ სუბიექტებზე, რომლებიც ერთსა და იმავე აუდიტორიაზე ახდენენ ზემოქმედებას; ასევე, მისი მიზანია, ისეთი** ხელმისაწვდომი აუდიოვიზუალური მედიამომსახურების მიერ, როგორიცაა ძირითადი საქმისწარმოების დროს განხილული ვიდეო მასალების ნაკრები, **ტრადიციული ტელევიზიისთვის არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გაწევის თავიდან აცილება**.“

„23 ამასთან დაკავშირებით, განმხილველი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან ცხადია, რომ ვიდეო ქვედომენში ხელმისაწვდომი ვიდეოების ნაწილი შექმნილია რეგიონული რადიომაუწყებლის, Tirol TV-ის მიერ და ასევე ხელმისაწვდომია მისი ვებგვერდის მეშვეობით. შესაბამისად, **აღნიშნული ვიდეოები კონკურენციას უწევენ რეგიონული რადიომაუწყებლების მიერ შემოთავაზებულ საინფორმაციო მომსახურებებს. იგივე ითქმის მოკლემეტრაჟიან ვიდეოებზეც, რომლებიც არ ეხება ადგილობრივ ახალ ამბებს, არამედ კულტურულ ან სპორტულ ღონისძიებებს,** ან გასართობ რეპორტაჟებს, და **რომლებიც კონკურენციას უწევენ მუსიკალურ არხებს, სპორტულ არხებსა და გასართობ პროგრამებს.“**

„24 ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პირველ კითხვაზე პასუხი არის ის, რომ **ცნება „პროგრამა“ დირექტივის 2010/13 1-ელი მუხლის (1)(ხ) ქვეპუნქტის მნიშვნელობით უნდა განიმარტოს, როგორც გაზეთის ვებგვერდის ქვედომენის ფარგლებში ადგილობრივი ახალი ამბების, სპორტული და გასართობი კლიპებისგან შემდგარი მოკლემეტრაჟიანი ვიდეოების მიწოდება.“**

მოკლე მიმოხილვა:

სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტივის 2010/13/EU 1-ელი მუხლის (1)(ხ) ქვეპუნქტით განსაზღვრული **ტერმინი „პროგრამა“ მოიცავს გაზეთის ვებგვერდის ქვედომენზე განთავსებულ მოკლემეტრაჟიან ვიდეოებსაც.** მიუხედავად მათი ხანგძლიობისა თუ ფორმატისა, **ისინი წარმოადგენენ მედიამომსახურების ინდივიდუალურ ერთეულებს**, რომლებიც, შინაარსითა და ფორმით, შეიძლება შევადაროთ სატელევიზიო მაუწყებლობას. სასამართლოს შეფასებით, ამ ტიპის **ონლაინ ვიდეომასალა ისევე ზემოქმედებს ფართო აუდიტორიაზე, როგორც ტრადიციული ტელევიზია და ექვემდებარება იმავე სამართლებრივ რეგულირებას.** აღნიშნული კი უზრუნველყოფს სამართლებრივი **თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვას ტრადიციულ მაუწყებლობასა და ონლაინ მედიამომსახურებებს შორის.**

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების XXXIII დანართი

ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	„2010 წლის 10 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/13/EU დირექტივა აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოების კანონებით, რეგულაციებითა ან ადმინისტრაციული აქტებით გათვალისწინებული გარკვეული დებულებების კოორდინაციის შესახებ (აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების დირექტივა)“
ევროკავშირის დებულება	დირექტივის 2010/13/EU 1-ელი მუხლის (1)(b) ქვეპუნქტი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 2(ც) მუხლი *(სარეგისტრაციო კოდი: 450.140.000.05.001.001.632; 12/06/2025 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**„პროგრამა“**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2015 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება (მეორე პალატა); C-347/14 - New Media Online GmbH v Bundeskommunikationssenat and Der Bundeskanzler; ECLI:EU:C:2015:709.*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.